

# სამოქალაქო პლატფორმა 20/20

წესდება

საქართველო  
თბილისი 2020

## **1. ზოგადი დებულებები**

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ (შემდგომში ორგანიზაცია „სამოქალაქო პლატფორმა 2020“), არის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით განსაზღვრული იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა.

1.2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“

1.3 „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საერთო ინტერესების მქონე პირებს.

1.4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი სახელწოდებით და ემბლემით, ყველა საჭირო რეკვიზიტი.

1.5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.6 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფელია: საქართველო, ქ. თბილისი, გურამ რჩეულიშვილის N8 კორპუსი, ბინა N29

1.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ელექტრონული მისამართია: [freeandtransparentelections@gmail.com](mailto:freeandtransparentelections@gmail.com)

## **2. მიზნები და ამოცანები**

2.1 ორგანიზაცია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მიზნად ისახავს:

- ა) დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების ხელშეწყობას და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს და რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის მხარდაჭერას;
- ბ) საქართველოს რეგიონალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჰაზად ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობას;
- გ) საარჩევნო სისტემის მონიტორინგს;
- დ) ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების დაცვასა და განმტკიცებას;
- ე) რეგიონის მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე აბრეშუმის გზის, როგორც მსოფლიო ეკონომიკური სარტყელის, შესაძლებლობების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობას - საგადასახადო და იუსტიციის სისტემების ჰარმონიზაციით.

## **3. ორგანიზაციის წევრობა**

3.1 ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის წესდებას.

3.2 პირის ორგანიზაციის წევრად მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა, ხოლო პირის ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

3.3 ორგანიზაციის წევრობის მსურველი პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს გამგეობას. წერილობით განცხადებას თან უნდა ახლდეს ორგანიზაციის მინიმუმ 1 წევრის წერილობითი რეკომენდაცია.

3.4 ორგანიზაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და გააჩნიათ ორგანიზაციის საქმიანობაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა.

3.5 ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობაში.
- ბ) მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის პროგრამებსა და პროექტებში (ისარგებლოს მონაწილეობის პრიორიტეტული უფლებით).
- გ) აირჩიოს ან არჩეულ იქნეს ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში.
- დ) მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.
- ე) ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად ისარგებლოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
- ვ) გავიდეს ორგანიზაციის წევრობიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.6 ორგანიზაციის წევრი მოვალეა:

- ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი და ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
- ბ) ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს მხოლოდ ორგანიზაციის მმართველ ორგანოსთან - გამგეობასთან შეთანხმებით.
- გ) გადაიხადოს საწევრო შენატანი (საწევრო შენატანის ოდენობას და გადახდის ვადებს ადგენს გამგეობა).

3.7 ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ საკუთარი განცხადების საფუძველზე.
- ბ) საერთო კრების მიერ წევრის ორგანიზაციიდან გარიცხვის შემთხვევაში, თუკი მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს ან უხეზად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.
- გ) საწევრო შენატანის არასაკმარის მიზეზებით 3 თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.
- დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.8 ორგანიზაციას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრები. საპატიო წევრზე არ ვრცელდება საწევრო შენატანის გადახდის მოვალეობა.

#### **4. საერთო კრება**

4.1 ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ გამგეობის მიერ. რიგგარეშე კრება მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის, საერთო კრების წევრთა 1/3-ის ინიციატივით, წერილობითი მოთხოვნით, დღის წესრიგის მითითებით.

4.2 საერთო კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს კრებამდე 2 კვირით ადრე მაინც.

4.3 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, წესდების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას დამსწრე წევრების 2/3-ის უმრავლესობით, ხოლო ორგანიზაციის მიზნების შეცვლის თაობაზე სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

4.4 საერთო კრება:

- ა) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტებს და სამუშაო გეგმას;
- ბ) 4 წლის ვადით ირჩევს მმართველო ორგანოს გამგეობის წევრებს;
- გ) ღებულობს და განიხილავს ინფორმაციას გამგეობის და აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- დ) წევრთა 1/3-ის წარდგინებით ირჩევს გამგეობის წევრებს;
- ე) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;
- ვ) იღებს გადაწყვეტილებას წესდების შეცვლისა და რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
- ზ) იღებს განცხადებებს, რეზოლუციებს, დადგენილებებს.

#### **5. გამგეობა**

5.1 საერთო კრებებს შორის პერიოდში ორგანიზაციის მუდმივმოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა.

5.2 გამგეობა შედგება საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით არჩეული 3 წევრისაგან. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.

5.3 გამგეობის სხდომები იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნით.

5.4 გამგეობას თავჯდომარეობს გამგეობის თავჯდომარე.

5.5 გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა საერთო მმართველო ორგანოს გამგეობის მიერ, უფლებამოსილების 2 წლის ვადით გამგეობის წევრთაგან.

5.6 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე 2/3, გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება გამგეობის თავმჯდომარეს.

5.7 გამგეობა ახორციელებს საერთო კრების მიერ დასახულ გეგმებსა და ამოცანებს.

5.8 განსაზღვრავს საწევრო შენატანის ოდენობასა და გადახდის ვადებს.

5.9 ქმნის ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს, ამტკიცებს მათ დებულებებს და ახდენს მათ ლიკვიდაციას..

5.10 ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის წევრთა და სტრუქტურათა მიერ საწესდებო ნორმების დაცვას.

5.11 ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის და მისი სტრუქტურების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და სახსრების მიზნობრივ გამოყენებას.

5.12 იღებს დადგენილებებს, მიმართვებს, განცხადებებს.

5.13 სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 2 წლის ვადით, ირჩევს ორგანიზაციის აღმასრულებელ და პროგრამულ დირექტორებს.

5.14 გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში;
- გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

## **6. გამგეობის თავმჯდომარე**

6.1 გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის მიერ, დამსწრე წევრთა უმრავლესობით, უფლებამოსილების 2 წლის ვადით.

6.2 უძღვება გამგეობის სხდომებს, წარმოადგენს ორგანიზაციას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში;

6.3 გამგეობის თავჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში;
- გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.4 გამგეობის თავჯდომარის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების ან მისი დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი.

## **7. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი**

7.1 აღმასრულებელი დირექტორი აირჩევა გამგეობის მიერ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

7.2 ორგანიზაციის აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელია დირექტორი, რომელიც ახორციელებს გამგეობის მიერ დასახულ გეგმებსა და ამოცანებს.

7.3 წარმოადგენს ორგანიზაციას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

7.4 გამგეობასთან შეთანხმებით განკარგავს ორგანიზაციის ქონებასა და სახსრებს.

ა) დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას ორგანიზაციის სტრუქტურას.

7.5 აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში;
- გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.6 აღმასრულებელი დირექტორის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების ან მისი დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს პროგრამული დირექტორი.

## **8. ორგანიზაციის პროგრამული დირექტორი**

8.1 პროგრამებისა და პროექტების დირექტორი აირჩევა გამგეობის მიერ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

8.2 გამგეობის მიერ დამტკიცებული საარჩევნო და არჩევნების სადამკვირვებლო პროგრამების და პროექტების ხელმძღვანელია, რომელსაც ახორციელებს აღმასრულებელ დირექტორთან ერთად.

8.3 წარმოადგენს ორგანიზაციას დონორებთან და მესამე პირებთან გამგეობის მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში.

8.4 პროგრამებისა და პროექტების დირექტორს უფლებამოსილება უწყდება:

- ა) გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შემთხვევაში;
- გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.5 პროგრამული დირექტორის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების ან მისი დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი.

## **9. ფინანსები და ქონება**

9.1 ორგანიზაციას ფლობს ნებისმიერ უძრავ და მოძრავ ქონებას, გარდა ბრუნვიდან ამოღებული ქონებისა.

9.2 ორგანიზაციის შემოსავლის წყაროებია:

- ა) საწევრო შენატანები;
- ბ) შემოწირულობები;
- გ) პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის მიღებული მიზნობრივი სახსრები;
- დ) სხვა შემოსავლები.

## **10. საქმიანობის შეწყვეტა**

10.1 ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა ხდება:

- ა) საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ბ) კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10.2 ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით, კანონით დადგენილი წესით.

10.3 ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილები არიან:

- ა) ანალოგიური მიზნის მქონე კავშირები;
- ბ) საქველმოქმედო ორგანიზაციები;
- გ) სახელმწიფო.

10.4 ორგანიზაციის ლიკვიდაცია დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ცენტრის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროიდან.

#### **11. გამგეობის შემადგენლობა:**

- 11.1 ლაშა ფარულავა
- 11.2 თენგიზ თევზაძე
- 11.3 ვასო ურუშაძე

**წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირები:**

ვასო ურუშაძე „გამგეობის თავჯდომარე“

თენგიზ თევზაძე „ადმინისტრაციული დირექტორი“

ლაშა ფარულავა „პროგრამული“ დირექტორი